www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მაჩვენებლები

2022/2023 სასწავლო წელი

01.12.2022
www.geostat.ge

01.12.2022

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მაჩვენებლები

(2022/2023 სასწავლო წელი)

2022/2023 სასწავლო წლის დასაწყისისთვის, საქართველოში სულ 2 302 ზოგადსაგანმანათ-ლებლო დაწესებულება (სკოლა) იყო, მათ შორის 2 086 საჯარო, ხოლო 216 კერძო. წინა სასწავლო წელთან შედარებით, ქვეყანაში არსებული სკოლების რაოდენობა 6 ერთეულით შემცირდა. რეგიონების მიხედვით, ყველაზე მეტი სკოლა (17.1%) იმერეთში ფიქსირდება.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებე-ბის რაოდენობა 2018/2019-2022/2023 სასწავლო წლების დასაწყისისთვის.

დიაგრამა №1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა

(ერთეული)



01.12.2022

2022/2023 სასწავლო წლის დასაწყისისთვის, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში 633.3 ათასი მოსწავლე სწავლობდა, რაც წინა სასწავლო წლის მაჩვენებელს 1.4 პროცენტით აღემატება. საჯარო სკოლებში მოსწავლეთა საერთო რიცხოვნობის 89.9 პროცენტი სწავლობს, ხოლო კერძო სკოლებში - 10.1 პროცენტი. მოსწავლეთა საერთო რიცხოვნობიდან 48.1 პროცენტი გოგოა, ხოლო 51.9 პროცენტი - ბიჭი.

რეგიონებს შორის, ყველაზე მეტი მოსწავლე (35.4%) თბილისში სწავლობს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მოსწავლეთა რიცხოვნობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში 2018/2019-2022/2023 სასწავლო წლების დასაწყისისთვის.

დიაგრამა №2

მოსწავლეთა რიცხოვნობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში
(ათასი)



01.12.2022

2021/2022 სასწავლო წლის განმავლობაში, სწავლა შეწყვიტა 8 846 მოსწავლემ, რაც 25.5 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. იმ მოსწავლეთა შორის, რომელთაც შეწყვიტეს სწავლა, 42.6 პროცენტი გოგოა, ხოლო 57.4 პროცენტი - ბიჭი.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე, წარმოდგენილია იმ მოსწავლეთა რიცხოვნობა რომელთაც შეწყვიტეს სწავლა 2021/2022 სასწავლო წლის განმავლობაში, სქესის და კლასის მიხედვით.

დიაგრამა №3

მოსწავლეთა რიცხოვნობა, რომლებმაც შეწყვიტეს სწავლა, 2021/2022 სასწავლო წლის განმავლობაში

(ერთეული)



01.12.2022

2022/2023 სასწავლო წელს, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საგნებს (აღნიშნული საგნები სავალდებულოდ ისწავლება I, V და VI კლასებში) 172 217 მოსწავლე სწავლობს, რაც წინა სასწავლო წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 2.3 პროცენტით ნაკლებია.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მოსწავლეთა რიცხოვნობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომლებიც სწავლობენ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს 2022/2023 სასწავლო წელს.

დიაგრამა №4

მოსწავლეთა რიცხოვნობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომლებიც სწავლობენ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, 2022/2023 სასწ.წ.

(ათასი)



01.12.2022

2022 წელს საშუალო სკოლა დაასრულა 45 423 მოსწავლემ, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს 17.3 პროცენტით აღემატება. დაწყებითი განათლება მიიღო 60 235 მოსწავლემ, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 26.5 პროცენტით მეტია, ხოლო საბაზო განათლება - 45 008 მოსწავლემ, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს 0.4 პროცენტით ჩამორჩება.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია იმ მოსწავლეთა რიცხოვნობა, რომელთაც მიიღეს დაწყებითი, საბაზო და საშუალო განათლება, 2018-2022 წ.წ.

დიაგრამა №5

დაწყებითი, საბაზო და საშუალო განათლების მიღების მაჩვენებლები

(ათასი)



01.12.2022

2022/2023 სასწავლო წლის დასაწყისისთვის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებული იყო 62 296 პედაგოგი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 1.1 პროცენტით ნაკლებია. მასწავლებელთა დიდ უმრავლესობას ქალები შეადგენენ, კერძოდ, პედაგოგების რიცხოვნობაში ქალების წილი 87.4 პროცენტი, ხოლო კაცების წილი 12.6 პროცენტია.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია პედაგოგების რიცხოვნობა 2018/2019-2022/2023 სასწავლო წლებში.

დიაგრამა №6

პედაგოგების რიცხოვნობა საჯარო და კერძო სკოლებში

(ათასი)



საკონტაქტო პირები:

ვასილ წაქაძე, ტელ: 2 36 72 10 (600), E-mail: vtsakadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge